ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში გამოხატავს ღრმა პატივისცემას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართ და აქვს პატივი თხოვოს სამინისტროს რომ მან გააცნოს ქვევით მოყვანილი მოთხოვნები იმ უფლებამოსილ ორგანოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ შესრულებას. აღნიშნული მოთხოვნები ეხება ჯორჯ ბალანჩინის 11 ნომერში მდებარე აშშ საელჩოს უსაფრთხოების ზომებს. ქვემოთ მოყვანილი უსაფრთხოების ზომები არის მნიშვნელოვანი რათა უზრუნველყოს სათანადო უსაფრთხოება საელჩოს თანამშრომლებისა და ოფიციალური სტუმრებისათვის.

კონკრეტული მოთხოვნები:

ა) საელჩოს კომპლექსის გარე პერიმეტრზე 100 მეტრის რადიუსში არ უნდა იყოს დაშვებული შემდეგი:

- ამაღლებული გზები
- სარკინიგზო ხაზები

ბ) საელჩოს კომპლექსის გარე პერიმეტრზე 200 მეტრის რადიუსში არ უნდა იყოს დაშვებული შემდეგი:

- ბენზინის/ბუნებრივი აირის / დიზელის გასამართი სადგურები;
- მძიმე სამრეწველო წარმოება და / ან დიდი წარმოება/საწყობის შენობები;
- ფართო კომერციული სავაჭრო კომპლექსები;
- შენობები რომელთა სიმაღლე აღემატება 10 მეტრს. შენობებს უნდა ქონდეს ორფერდა სახურავი და ფანჯრები არ უნდა გადიოდეს საელჩოს მხარეს;
- სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების სადგომი და ავტობაზრობა (მათ შორის დიდმის ავტობაზრობა)

(შენიშვნა: საელჩოს სურს მოახსენოს სამინისტროს რომ ავტომობილები, რომლებიც მონაწილეობენ შაბათ-კვირას დიდმის ავტო ბაზრობაზე გაჩერებული არიან საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც უშუალოდ გავლენას ახდენს მის უსაფრთხოებაზე. საელჩომ ეს ფაქტი უკვე აცნობა სამინისტროს დიპლომატიური ნოტით ნომერი 202/05.)

გ) საელჩოს კომპლექსის გარე პერიმეტრზე 201 მეტრიდან 500 მეტრის რადიუსში არ უნდა იყოს დაშვებული შემდეგი:

- საცხოვრებელი/კომერციული შენობები რომლებსაც აქვთ 4 სართულზე მეტი და სიმაღლე აღემატება 17 მეტრს. (შენობებს უნდა ჰქონდეს ორფერდა სახურავი და ფანჯრები არ უნდა გადიოდეს საელჩოს მხარეს).

დ) საელჩოს კომპლექსის გარე პერიმეტრზე 500 მეტრის რადიუსში არ უნდა იყოს დაშვებული შემდეგი:

- ნავთობგადამამუშავებელი / ქიმიური ნივთიერებების საწყობი და / ან სადისტრიბუციო ბაზა.
- სასროლეთი და სამხედრო ბაზები.

შემდგომში, თუ საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების ან მიწის ნაკვეთების მეპატრონეები მოისურვებენ მათ გაყიდვას ან იჯარით გადაცემას იმ უცხო ქვეყნებისათვის, რომელთაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან არ აქვს მეგობრული ურთიერთობა, ჩვენ პატივისცემით გთხოვთ რომ გვაცნობოთ ამ გაყიდვების თუ იჯარით გადაცემის ფაქტების შესახებ სანამ მათ მიენიჭებათ ამის რეგისტრაციის ნებართვა.

საელჩო მიესალმება და სრულ მხარდაჭერას უცხადებს თბილისის მერიის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ მიწა რომელიც მდებარეობს ჯორჯ ბალანჩინის ქუჩის გამყოფ ზოლზე, იქნება თავისუფალი ყველანაირი შენობა ნაგებობისაგან საელჩოს კომპლექსის პერიმეტრზე 500 მეტრის რადიუსში.

ე) საელჩოს კომპლექსის გარე პერიმეტრზე 2000 მეტრის რადიუსში არ უნდა იყოს დაშვებული შემდეგი:

- კომერციული ან კერძო აეროპორტები.

აშშ საელჩო პატივისცემით გთხოვთ რომ აღნიშნული ზონური შეზღუდვები, რომლებიც ემყარება უსაფრთხოების პროფესიონალურ სტანდარტებს, გატარებულ იქნას საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე რაც შეიძლება მალე. საელჩო ასევე გთხოვთ რომ შეგვატყობინოთ სამომავლოდ იმ მშენებლობების შესახებ, რომლებიც შეიძლება მოხდეს აღნიშნულ ზონაში.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში სარგებლობს შემთხვევით რათა განაახლოს თავისი ღრმა პატივისცემა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართ.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო,

თბილისი, 30 მაისი, 2007.